ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მრავლდარგობრივი გიმნაზია „იბერია“

ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადობა

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- ☒ დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☒ საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☒ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: თეა სალუქვაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

II. დაწესებულების მისია

მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერიას" მისიაა აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება, რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება და პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. იქნება ტოლერანტი და კონკურენტუნარიანი.

III. სტანდარტები

1.საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

ვინიდან გიმნაზია ,,იბერიამ" საავტორიზაციო განაცხადი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განსახილველად წარადგინა 2019 წლის მაისის თვეში, განცხადებას დაურთო 2018-2019 სასწავლო წლების სასკოლო დოკუმენტაცია. (ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 15, 16 ოქტომბერს). წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად საგანმანათლებლო პროცესი გიმნაზიაში ხორციელდება სამივე საფეხურზე: დაწყებით, საბაზო და საშუალო. სასწავლო მასალის ჩამონათვალი სამივე საფეხურის ყველა კლასზე და ყველა საგანზეა გათვლილი.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია:

ა) გიმნაზია ,,იბერიას" მისია

ბ) სასკოლო საათობრივი ბადე, რომლშიც გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო საგნის სწავლება დაწყებით საფეხურზე 2018-2024 წწ.-ის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე 2011-2016 წწ-ის ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის შესაბამისად. სასკოლო საათობრივ ბადეში ასევე აღნიშნულია სავალდებულო და არჩევითი საგნები - მე-10 კლასში -„მეწარმოების საფუძვლები"; მე-11 და მე-12 კლასებში - „ეკონომიკა და სახელმწიფო";

გ) მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);

დ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

ე) ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;

ზ) IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი: 8 გაკვეთილი - IX კლასში, 4 გაკვეთილი - XI კლასში. ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი;

თ) სასწავლო წლის კალენდარი სემესტრების მიხედვით, დღის რეჟიმი;

ი) საგნობრივი კათედრების ჩამონათვალი, მიზნები და ამოცანები, კათედრის მუშაობის პრინციპები;

კ) საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება,სსსმ მოსწავლის მიღების წესი, სასკოლო გარემოს მოწყობა, ისგ შექმნის წესი და ნიმუში);

ლ) სადამრიგებლო პროგრამა.

გიმნაზიას სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული აქვს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასებისა და დონეების მიხედვით. სახელმძღვანელოების ნუსხა სრულად მოიცავს სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებს. სასკოლო სასწავლო გეგმით დაზუსტებულია სადამრიგებლო პროგრამები, რომელიც გულისხმობს ყველა კლასისათვის კლასის დამრიგებლის დანიშვნას და მათ უფლება-მოვალეობების დადგენას. დამრიგებლების პორტფოლიო მოიცავს ჩატარებული სადამრიგებლო საათისა და განხორციელებული ღონისძიებების, პროექტების შესახებ ინფორმაციას.

გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნების სწავლებას და სხვა დამატებითი საგანი გიმნაზიაში არ ისწავლება, თუმცა იქ ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის წრეები. აღნიშნული წრეების ძირითადი მიზანი მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებაა.

მიუხედავად, იმისა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილში საუბარია IX და XI კლასებში გიმნაზიის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე, სასწავლო გეგმის ძირითად ნაწეილში არაფერია ნათქვამი ამის შესახებ.

საათობრივი ბადე, ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის შესაბამისად, საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას, კერძოდ, საათობრივი ბადე უნდა მოიცავდეს თითოეული კლასის

ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც დააზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება.

დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა ნაწილობრივ გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დასტურდება:

- გიმნაზიის" 2018-2019 სასწავლო წლის სასწავლო გეგმით;
- სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან ინტერვიუირებით;
- მასწავლებლებისა და დამრიგებლების პორტფოლიოებით;
- კათედრების ხელმძღვანელების პორტფოლიოებით;
- წრეების სამუშაო გეგმით და საგანმათლებლო პროგრამებით.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

გიმნაზია ,,იბერიაში" სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად ფუნქციონირებს, საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნილი 4 კათედრა:

1.ქართული ენა და ლიტერატურისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კათედრა;

2.მათემატიკის, ისტისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი კათედრა;

3.უცხო ენების საგნობრივი კათედრა;

4.დაწყებითი კლასების, ესთეტიკური ციკლისა და სპორტის საგნობრივი კათედრა,

კათედრებში გაერთიანებულია საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი. დამტკიცებულია თითოეული კათედრის დებულება. საგნობრივი კათედრის საქაღალდეებში განთავსებულია ინფორმაცია კათედრებზე სასწავლო სახელმძღვანელოების შერჩევის, საგნობრივი პროგრამებისა და თემატურ–კალენდარული გეგმების განხილვის, შემაჯამებელი დავალებების დაგეგმვის სტრატეგიების და ახალი რეკომენდაციების შემუშავების შესახებ. მასწავლებლებს აქვთ სამუშაო გეგმები, სადაც ჩამოთვლილია თემები და საათობრივი განაწილება, მითითებულია მიზნები და სტანდარტის

შედეგები, აღწერილია აქტივობები და მეთოდები, რომლებსაც მასწავლებელი იყენებს დასახული მიზნის მისაღწევად. კერძოდ, გამიზნულია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები. მასწავლებლები აწარმოებენ პორტფოლიოებს, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას მათი პროფესიული განვითარებისა და საქმიანობის შესახებ (სერტიფიკატები, დაგეგმილი გაკვეთილები, მოსწავლის ნამუშევრების ნიმუშები, ანგარიშები, ღონისძიებების ჩამონათვალი და სხვა). კათედრები პერიოდულად აანალიზებენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებსა და გაცდენებს, შეიმუშავებენ მოსწავლის/მოსწავლეთა საჭიროებებზე რეაგირების მიდგომებს: ატარებენ დამატებით საათებს, დამატებით ინდივიდუალურ მეცადინეობებს. შემაჯამებლები ტარდება ძირითადად ტესტირების ფორმით: თუმცა ტესტი შეიცავს ღია და დახურული ტიპის დავალებებს. შემაჯამებელი დავალებები სწორდება ჩატარების დღიდან არაუგვიანეს სამი დღისა და მიღებული შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობება მოსწავლეს გასწორებიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა.

მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და გიმნაზის დირექციასთან ინტერვიუებით დგინდება, რომ გიმნაზიაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: 1. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“ (I-IV და V-VII კლასების მოსწავლეებითვის) წრის მიზანია მოსწავლეებში:„წარმოსახვის, შრომითი და საკომუნიკაციო, ემოციური და გონებრივი სფეროს განვითარება, პატივისცემა საკუთარი და სხვისი ნაშრომების მიმართ. სწავლობენ ნამუშევრების შექმნას შთაბეჭდილებების მეშვეობით, ხატავენ ფანტაზიით შექმნილი გარემოსა და სიუჟეტებს. გამოუმუშავდებათ სხვადასხვა სამუშაოს დაგეგმვის უნარი, განუვითარდება შემოქმედებითი აზროვნება.

2. თვალსაწიერი (მხატვრული კითხვა, მეტყველების განვითარება ) . წრის მიზანი გაწერილია საფეხურების მიხდვით და თითოეულ საფეხურზე ის გულისხმობს მოსწავლეებში წიგნიერების განვითარების ხელშეწყობას: წაკითხულის გააზრების, ტრანსფერის უნარის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

აქტივობის „ მე და ჩვენ“ მიზანია მოსწავლეებმა გაიაზრონ საკუთარი და სხვათა უფლებები და მოვალეობანი, ეს აქტიოვბა ხელს უწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდას, აქტივობის ფარგლებში მოსწავლეებისთვის გაწერილია დისკუსიები ბულინგის, ტოლერანტობის, ინკლუზიის თემებზე, რათა მოსწავლეებს განუვითარდეთ ემპათიის, პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზის ძიების უნარები. ამასთან, აღნიშნული აქტივობები მოსწავლეებს უყალიბებენ შესაბამის ღირებულებებსაც.

ფიზიკური და გონებრივი გაჯანსაღების მიზნით გიმნაზიაში ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები: სპორტული მარათონი, მხიარული შეჯიბრებები, ჭადრაკისა და კალათბურთის ტურნირები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

დასტურდება:

- გიმნაზიის“ 2018-2019 სასწავლო წლის სასწავლო გეგმით;
- მასწავლებლებისა და დამრიგებლების პორტფოლიოებით;
- მასწავლებლებთან. მოსწავლეებთან და სკოლის დირექციასთან ინტერვიუებით;
- კათედრების პორტფოლიოებით;
- 2018-2019 სასწავლო წლის შემაჯამებელი დავალებების ანალიზით;
- გიმნაზიის ვებ გვერდი “ iberia2001.ge”

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

დირექციასთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების, პროგრამებისა და გეგმების შესწავლის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ გიმნაზიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სწავლების პროცესში პიროვნების ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინება, შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალურად გამოვლენა და განვითარება, რაც მიიღწევა მოსწავლეებზე მორგებული მოდიფიცირებული სასწავლო გეგმითა და დამატებითი გაკვეთილების ორგანიზებით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლესთან გასაუბრებისას, ან საპატიო მიზეზით მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენისას, გამოვლინდა მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეუსაბამობა სკოლის საგნობრივ სტანდარტებთან, საგნის მასწავლებელი კათედრის წევრებთან ერთად ქმნის მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმას და ახორციელებს სწავლებას პრობლემის გადაჭრამდე. შეიძლება ითქვას, რომ გიმნაზიის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ნებისმიერი მიდრეკილების, შესაძლებლობის თუ ინტერესის მქონე ბავშვის

მაქსიმალური ჩართვა სასწავლო პროცესში, პიროვნული, ფსიქო-ემოციური, სოციალური, ქცევითი თუ ინტელექტუალური თავისებურების გათვალისწინებით.

ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობისათვის, კომპიუტერული ლაბორატორისა და სკოლის სხვა სივრცის გამოყენებისათვის, რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სიახლეებისა და სკოლაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სწავლების სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც გათვალისწინებულია სხვადასხვა აღქმის ტიპის მოსწავლეებზე (ვიზუალებზე, კინესთეთიკებზე, აუდიალებზე) რაც მათ თანაბარი განვითარების საშუალებას აძლევს.

დაწესებულებამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების შესახებ ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან, რომელშიც საუბარია სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებზე. ამ ეტაპზე გიმნაზიას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კონკრეტულ შემთხვევაზე სკოლა იმუშავებს კონკრეტული სსსმ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დაკმაყოფილებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი.

დასტურდება:

- გიმნაზიის“ 2018-2019 სასწავლო წლის სასწავლო გეგმით
- მასწავლებლებთან და დირექცასთან ინტერვიუებით.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

დაწესებულებას სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების პრინციპები. სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებლები იყენებენ ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისად განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების ფორმებს, შეფასების სამ კომპონენტს (საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება). სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, კერძოდ:

- საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები
- განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები
- ქულების გამოანგარიშების წესი
- კლასისა და საფეხურის დაძლევის ფორმები
- გაცდენების გავლენა მოსწავლის შეფასებაზე
- გამოცდების ტიპები
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება
- სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებას, დასწრება/გაცდენები

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში შეფასება ხორციელდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასების ფორმით. V კლასის მეორე სემესტრიდან - XII კლასის ჩათვლით გამოიყენება, როგორც განმავითრებელი ასევე გამსაზღვრელი შეფასების ფორმები.

შეფასების სისტემას წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობენ კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები, ცალკეული საგნების შეფასების რუბრიკები გამოკრულია საკლასო ოთახებში და მასწავლებელი მოსწავლის შეფასებისას ეყრდნობა ამ სქემებს, გამოყოფს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, აკეთებს კომენტარს და მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებების მიხედვით გეგმავს აქტივობებს. შემაჯამებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ ხშირად გამოიყენება მოსწავლეთა თვითშეფასება, ყველა მასწავლებელი წლის ბოლოს თითოეული მოსწავლისათვის ქულასთან ერთად, წერს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.

შესაბამისად, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

დასტურდება:

- გიმნაზიის" 2018-2019 სასწავლო წლის სასწავლო გეგმით;
- გიმნაზიის" 2018-2019 სასწავლო წლის შინაგანაწესით.
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზით.
- ინტერვიურებით.
- დამრიგებლის პორტფოლიოთი.

1.5. შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

გიმნაზიაში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი (ზარათები, ინდივიდუალური გასაუბრებები, ელექტრონული მიმოწერა), რომელიც გულისხმობს გიმნაზიასა და მშობლებს შორის ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებას.

მშობლებთან გასაუბრებამ და სკოლის სადამრიგებლო პროგრამების გაცნობამ დაგვანახა, რომ პედაგოგები, დამრიგებლები და, ზოგადად, სკოლის საზოგადოება მჭიდროდ ურთიერთობს მშობლებთან. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში და თავადაც იზიარებენ პასუხისმგებლობებს. კლასის საქმიანობის სამოქმედო გეგმა იქმნება მშობელთა მონაწილეობით და მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში კლასის მშობელთა კრებაზე, ამავე კრებაზე დგინდება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების გრაფიკი, განისაზღვრება შეხვედრებს შორის ურთიერთობის ფორმები. მშობლების ინფორმირებისათვის გამოყენებულია: ელექტრონული შეტყობინებები, სატელეფონო საუბრები, გიმნაზიის ვებ-გვერდი და სხვა. სასწავლო წლის ბოლოს ყველა დამრიგებელი მშობლებს საერთო კრებაზე წარუდგენს კლასის საქმიანობის ანგარიშს და ახდენს შეფასებას, მშობელთა მონაწილეობით განსაზღვრავს კლასის მომავალი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს. ასევე წლის განმავლობაში ეწყობა ინტერვიუები ცალკეულ მშობლებთან, ანკეტირება და გამოკითხვები.

დასტურდება:

- გიმნაზიის“ მოსწავლეების მშობელთა ინფორმირების დებულებით;
- სადამრიგებლო პროგრამით;
- დამრიგებლის წლიური ანგარიშით;
- ინტერვიუირებით;
- დამრიგებლების პორტფოლიოებით;

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით:

სასწავლო გეგმის შეფასება ხდება საგნის მასწავლებლების, კათედრის ხელმძღვანელების, მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე,

მონიტორინგის შედეგები წარედგინება დირექტორს და პედაგოგიურ საბჭოს.

გიმნაზიაში მოქმედი სწავლისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემა, იძლევა სასწავლო პროცესის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვის შესაძლებლობას.

გადაწყვეტილებები გიმნაზიის სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების თაობაზე განიხილება სკოლის კათედრების რეგულარულ შეხვედრებზე ჯგუფური კონსულტაციების გზით. პედაგოგთა ანგარიშების საფუძველზე და პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე.მონიტორინგი გაეწევა ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხის შესრულებას.

მონიტორინგის გეგმა დეტალურად აღწერს, თუ როდის, რა მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით შეფასდება და კონტროლი გაეწევა ნებისმიერ დაგეგმილ აქტივობას.

დასტურდება:

- გიმნაზიის“ 2018-2019 სასწავლო წლის სასწავლო გეგმით;

- ინტერვიუებით;
- შპს „მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიის" სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების სისტემისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით.
- სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველი დოკუმენტაციით კათედრების მიხედვით;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმით;
- კალენდარულ/თემატური გეგმებით;
- კათედრების თავმჯდომარეების, საგნის მასწავლებლების ანგარიშებით;
- პედაგ. საბჭოს სხდომების ოქმები

## 2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერია" ფუნქციონირებს ქ. ბათუმში, თაყაიშვილის ქუჩის N 5-7-9--11-ში მდებარე ათსართულიანი (მშენებარე) სახლის პირველ და ე.წ. ანტრესოლის სართულზე. გიმნაზიის საერთო ფართი 499,7 კვ.მ -ია, აღნიშნული ფართიდან 294,15 კვ.მ ეკუტვნის გიმნაზიის დირექტორს, ხოლო 195,55 კვ.მ შპს მრავალდარგოვანი გიმნაზია „ იბერიას." ანტრესოლიში განთავსებულია დირექცია, სასწავლო ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სამედიცინო ოთახი, ბუფეტი, ცველი წერტილები. პირველ სართულზე არსებულ 77,61 კვ.მ ფართი უკავია სპორტულ დარბაზს, გასახდელს და სველი წერტილს.
საგულისხმოა, რომ სკოლის სადარბაზოს წინ არსებული კორპუსის შიდა ეზო იზოლირებულია და მასთან მისასვლელი სკოლას გადაკეტილი აქვს რკინის ჭიშკრით. რაც შეეხება ეზოს იმ ნაწილს, რომელიც ავტოსადგომებისთვისაა განკუთვნილი და არაა იზოლირებული, ღიაა და გასასვლელი აქვს მიმდებარე ქუჩაზე, რის გამოც ის სერიოზულ

საფრთხეს წარმოადგენს მოსწავლეთა უსაფრთხოებისათვის. დირექტორს მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ანტრესოლის სართულის ყველა ფართი არ არის დამფუძნებლის საკუთრებაში და შესაბამისად არ არის გიმნაზიის სარგებლობაშიც. კერძოდ, დარჩენილია ერთი ოთახი, რომლის კარები დაკეტილი დაგვხვდა, მაგრამ გიმნაზიის დირექტორმა წარმოადგინა ცნობა, სადაც მას აქვს აღნიშნული ფართის შესყიდვის უპირატესობა.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი, ექვთიმე თაყაიშვილის ქ. 5,7,9,11 ანტრესოლი G სადარბაზო 2 . | 84.47 | დირექტორის საკუთრება |
| 2 | ბათუმი, ექვთიმე თაყაიშვილის ქ. 5,7,9,11 ანტრესოლი NE სადარბაზო 2 . | 65.42 | დირექტორის საკუთრება |
| 3 | ბათუმი, ექვთიმე თაყაიშვილის ქ. 5,7,9,11 ანტრესოლი F სადარბაზო 2 . | 89.77 | დირექტორის საკუთრება |
| 4 | ბათუმი, ექვთიმე თაყაიშვილის ქ. 5,7,9,11 ანტრესოლი D სადარბაზო 2 . | 54.49 | დირექტორის საკუთრება |
| 5 | ბათუმი, ექვთიმე თაყაიშვილის ქ. 5,7,9,11 ანტრესოლი B სადარბაზო 2 . | 117,94 | შპს მრავალადარგოვანი გიმნაზია „იბერიის" საკუთრება |
| 6 | ბათუმი, ექვთიმე თაყაიშვილის ქ. 5,7,9,11 სადარბაზო 2 . სართული 1 | 77.61 | შპს მრავალადარგოვანი გიმნაზია „იბერიის" საკუთრება |

ჯამი: 499,7 კვ.მ

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, მიწის ( უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი

  N 01/519/5040. მომზადების თარიღი 18.10.2019 წ.

- შპს მრავალდარგოვან გიმნაზია „იბერიასა“ და გიმნაზიის დირექტორს შორის გაფორმებული 2017 წლის იჯარის იჯარის ხელშეკრულებით;

- შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზით;

- ვიზუალური დათვალიერებით.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

შენობაში არის 12 საკლასო ოთახი, თითოეულ ოთახი განსზღვრულია 12 მოსწავლისთვის შესაბამისი ფართით. გარდა საკლასო ოთახებისა ანტრესოლშიარუს ბიბლიოთეკაც, რომელიც ასევე ითავსებს სააქტო დარბაზის ფუნქციას, საბუნენისმეტყველო საგნების ლაბორატორიის ოთახი, სასადილო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, ექთნის ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, მოსასვენებელი ოთახი, საკლასო ოთახებში განთავსებულია 140 ერთ ადგილიანი მერხი, 140 მოსწავლის სკამი.

საკლასო ოთახები აღჭურვილია დაფებით, მათ შორის მაგნიტური დაფებით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, საკიდებით, თაროებით და სხვასახვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებით. პირველ და მეორე კლასებში არის პუფებიც.

დასტურდება:

ნასყიდობის ხელშეკრულებებით;

- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- მიღება-ჩაბარებების აქტებით;

- საგადასახადო დავალებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

როგორც ზემოთ აღინიშნა, სპორტული დარბაზი შენობის პირველ სართულზე მდებარეობს (73 კვ.მ), აქვეა გასახდელი და სველი წერტილი 4,61კვ.მ. სპორტულ დარბაზში განთავსებულია ერთი ჩოგბურთის მაგიდა, კალათბურთის ფარები, შვედური კედელი და ძელსკამები. გიმნაზიას ასევე აქვს 3 ჭადრაკის დაფა. აღნიშნული ინვენტარი არის საკმარისი სრულყოფილი სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად.

დასტურდება:

- მიღება - ჩაბარების აქტებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

ერთ-ერთი საკლასო ოთახის გავლით, საკმაოდ პატარა ოთახში (7 კვ.მ.) განთავსებულია ლაბორატორია, რომელშიც დამონტაჟებულია წყლის ონკანი ნიჟარით. ოთახში არ არის გამწოვი, მართალია არის პატარა სარკმელი, მაგრამ ვინაიდან მეორე მხარეს მოშენებულია კედელი, ფაქტიურად ამ სარკმელის საშუალებით ოთახის განიავება შეუძლებელია. ოტახი ნათდება ხელოვნური განათებით. დირექტორს მიეცა რეკომენდაცია: დაამონტაჟოს გამწოვი და სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაცია წარმოუდგინოს საბჭოს სხდომაზე. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სტანდარტული კომპლექტი განთავსებულია კარადებში.

აქვე არის სადემონსტრაციო მაგიდა. კაბინეტებში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული ლაბორატორიით სარგებლობის წესები.

მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ცდების ჩატარება აღნიშულ ოთახში შეუძლებლია, ცდების დიდი ნაწილი ტარდება საკლასო ოთახში.

დასტურდება:

- სასაქონლო ზედნადებით;
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით;
- ნასყიდობის ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.;
- მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით.

აღნიშნული სტანდარტი ნაწილობრივადაა დაკმაყოფილებულია: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ.“ ქვეპუნქტი.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

სკოლის საკლასო ოთახები ნათდება როგორც ბუნებრივი, ასევე ელექტრო განათების საშუალებით. ოთახები გათბობის ცენტრალური სისტემით თბება. სკოლაში განთავსებულია ხუთი სველი წერტილი. ორი ბიჭებისათვის , ორი გოგონებისათვის და ერთიც სსსმ მოსწავლისათვის. სკოლა წარმოადგენს შპს „ბათუმის წყალის,“ ენერგო პრო ჯორჯიას, სილქნეტის და შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ აბონენტს და ამ

კომპანიებიდან შეუფერხებლად მიეწოდება წყალი, ინტერნეტი, ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია. სკოლას აქვს ელექტრო ენერგიით მომარაგების ალტერნატიური საშუალება -- ელექტრო გენერატორი.

დასტურდება:

- ხელშეკრულებით „ენერგო პრო ჯორჯიასთან", 27.01.2015 წ.
- ხელშეკრულებით „სოკარ ჯორჯიასთან" , 31.03.2017 წ.
- საგადასახადო დავალებებით;
- ანგარიშ-ფაქტურით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

დაკმაყოფილებულია: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი

2.3. სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

სკოლის წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია ელექტრონულ კატალოგში - ექსელში და მატერიალური სახით - საინვენტარო წიგნში. სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოების რაოდენობა არის 98 ერთეული, ხოლო დამხმარე და მხატრული ლიტერატურა განისაზღვრება 5639 ერთეულით. ბიბიოთეკაში არსებობს მკითხველთა ფორმულარები, კედელზე გამოკრულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები.

გარდა ამისა, სკოლის ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია სკოლის წიგნადი ფონდის, ბიბლიოთეკის დებულებისა და მკითხველთა უფლებების შესახებ.

ბიბლიოთეკაში ასევე განთავსებულია კომპიუტერის 1მაგიდა, საკონფერენციო 1მაგიდა, ტრიბუნა 1, დაფა მონიტორისთვის 1, კომპიუტერი 1, პრინტერი 1, წიგნების კარადა 7, სკამი 9.

დასტურდება:

- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნით;
- ნასყიდობის ხელშეკრულებებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერბით

დაკმაყოფილებულია: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

გიმნაზიას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლე, მიუხედავად ამისა, შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

პრინციპები, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმაში არის შეტანილი. დოკუმენტში საუბარია ინკლუზიური განათლების მიზნებსა და ამოცანებზე, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე, საჭირო რესურსებზე და ა. შ. დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს. გიმნაზიის ერთერთი შემოსასვლელი არის ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. აქვს გასაშლელი რკინის პანდუსები, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთთან აკავშირებს პირველ და მეორე სართულებს. მოცემულ მომენტში დაწესებულებას გიმნაზიაში არის სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ადაპტირებული სველი წერტილი.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ჩუქების ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

დაკმაყოფილებულია: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

გიმნაზიას მფლობელობაში აქვს 2 ლეპტოპი და 6 კომპიუტერი, მათგან ოთხი კომპიუტერი და განთავსებულია კომპიუტერულ კლასში და გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის. ერთი კომპიუტერი და ერთი ლეპტოპი ბიბლიოთეკაშია, ხოლო ერთი კომპიუტერი და ერთი ლეპტოპი დირექტორის კაბინეტში.

სკოლას გააჩნია ვებ გვერდი - http://iberia2001.ge/, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლის შენობაში ყველგან ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. ყველა კომპიუტერი ჩართულია ქსელში და გამართულად ფუნქციონირებს.

დასტურდება:

- ფიზიკურ პირთან მომსახურების ხელშეკრულებით;
- შესრულებული სამუშაოს აქტით;
- საგადასახადო დავალებით;
- მომსახურების ხელშეკრულებით „კავკასუს ონლაინთან“;
- ხელშეკრულებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ სს „სილქნეტთან“,
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- სკოლის ვებ-გვერდით: iberia2001.ge

დაკმაყოფილებულია: „საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე“ რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N 572 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაკმაყოფილებულია: „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე)კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

გიმნაზიის დირექცია “ იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N 06/ ბრძანებას. ბრძანების შესაბამისად თვალსაჩინო ადგილებში, კიბის სექტორთან და დერეფანში გამოკრულია სასწრაფო გადაუდებელი დახმარების, პოლიციისა და ცხელი ხაზის ნომრები. ასევე კიბის სექტორში სპორტ დარბაზსთან და დერეფანში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. პირველ და ანტრესოლის სართულებზე განთავსებილია 2-2 ცეცხლმაქრი, ასევე ყველა საკლასო ოთახი, დერეფანი და დამხმარე ოთახები აღჭურვილია კვამლის დეტექტორით. სკოლას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები, ჰყავს ექთანი რომელთანაც დადებულია შესაბამისი ხელშეკრულება. გამოყოფილია ექთნის ოთახი, სადაც მოწყობილია ონკანი ნიჟარით, დგას სამედიცინო ტახტი და მაგიდა, არის მცირე კარადა პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებისთვის. ექთანი აწარმოებს ავადმყოფთა ჩაწერის წიგნს, მისი მოვალეობები გაწერილია ექთნის დებულებაში და შინაგანაწესში. მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები და დასვენების დროს უფროსკლასელები. დამრიგებლებს ევალებათ შესვენების დროს თვალყური ადევნონ მოსწავლეთა უსაფრთხოებას.

სკოლას არ აქვს შემუშავებული უსაფრთხო გარემოს მარეგულირებელი დოკუმენტი, მაგრამ დირექტორმა განმარტა, რომ მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნულ დოკუმენტზე.
სკოლას არ ჰყავს დარაჯი, კარისკაცი, ან დაცვა.
სკოლის შიდა პერიმეტრზე დაყენებულია 6 კამერა, მათ შორის 3 დერეფანში, 1 სკოლის მთავარ შემოსასვლელზე შიდა მხრიდან, 1 სპორტულ დარბაზში, 1 სააქტო დარბაზში, 1 კომპიუტერულ კლასში. გარდა ამისა 3 გარე კამერა დაყენებულია შემოსასვლელებზე, 2 მთავარ შემოსასვლელზე. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება მოთხოვნილ პარამეტრებს. რადგან სკოლის ეზოში მოწყობილია მოსახლეობისთვის ავტოფარეხი, რომელსაც აქვს ღია გასასვლელი, სადაც მოხვედრის შემდეგ, ფაქტიურად შეუძლებელი იქნება მოსწავლის გადაადგილების გაკონტროლება. იხ, დანართი 1.

დასტურდება:

- ნასყიდობის ხელშეკრულებებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით.;
- საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- საგადასახადო დავალებებით;
- მომსახურების ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

ნაწილობრივაა დაკმაყოფილებული: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ.ვ.“ ქვეპუნქტი (გასათვალისწინებელია ავტოფარეხების მხრიდან დაუცველი ეზო და უსაფრთხოების დოკუმენტის არქონა)

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

გიმნაზიას აქვს წესდება, რომელიც სანოტარო წესით არის რეგისტრირებული. წესდების მიხედვით შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერია“ დაფუძნდა 2001 წლის 6 აპრილს, სარეგისტრაციო ნომერი 245437772), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ის წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებას. დოკუმენტში მოცემულია ორგანიზაციის იურიდიული მისამართი (იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი, მელიქიშვილი/ნინოშვილის N1/7, ფაქტობრივი მისამართი ქ. ბათუმი , ე.თაყაიშვილის ქ. 5-7-11), წესდებაში განსაზღვრულია ორგანიზაციის უმაღლესი მმართველი ორგანო და მისი უფლებამოსილებანი, აღმასრულებელი ორგანო, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებანი, ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებაზე პასუხისმგებელი პირი და სხვა.

გიმნაზიას აქვს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომელიც გიმნაზიის დირექტორის მიერაა დამტკიცებული. დებულებები განსაზღვრავს გიმნაზიის ადმინისტრაციის: დირექტორის, დირექტორის მოადგილის სასწავლო დარგში, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, ექთნის. სამეურნეო ნაწილის გამგის, უფლება-მოვალეობებს, ასევე გაწერილია პედაგოგიური საბჭოს, პედაგოგის, კათედრის ხელმძღვანელების უფლებამოსილებანი; აღნიშნულ პირებთან გასაუბრებამ დაგვარწმუნა, რომ ისინი იცნობენ საკუთარ უფლებებსა და ვალდებულებებს.

-

დაკმაყოფილებულია: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ.“ ქვეპუნქტი

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

გიმნაზიამ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2018 -2019 წლის ერთწლიანი განვითარების გეგმა, რომელიც შემუშავებულია პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად და დამტკიცებული გიმნაზიის რექტორის მიერ. ერთწლიანი გეგმის მიხედვით, მომდევნო წლის განმავლობაში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებანი:

- მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას;
- სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- კლასგარეშე აღმზრდელობით მუშაობას;

- მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

გიმნაზიის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 2014-2020 წწ. გეგმა განიხილა სკოლის პედსაბჭომ და დაამტკიცა გიმნაზიის დირექტორმა. გეგმაში შემდეგი პრიორიტეტები იქნა გათვალისწინებული:

1.თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა;

2.სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

3.მასწავლებლთა კვალიფიკაციის ამაღლება, სკოლის კომპიუტერიზაცია;

4. პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საქართველოს სხვა კერძო სკოლებთან.

გასული წლების განმავლობაში გიმნაზიამ მნიშვნელოვანი სამუშაო გაწია გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტების მისაღწევად.

გიმნაზია ატარებს SWOT-ანალიზს. გიმნაზია ძლიერ მხარედ მიიჩნევს ორგანიზაციულ კულტურას, სკოლის ფართს, სამოქალაქო განათლების პროექტებში ჩართულობას, მოტივირებულ მასწავლებლებს და ა.შ. სუსტ მხარედ მიიჩნევენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ფინანსური რესურსების სიმწირეს, კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ნაკლებ გამოცდილებას, მშობელთა დაბალ მოტივაციას და სხვ. მათი ხედვით, შესაძლებლობა აქვთ გააქტიურონ საკლუბო მუშაობა, ტრენინგების გზით აამაღლონ თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დონე და სხვ. საფრთხედ მიიჩნევენ მაგალითად მშობლების დაბალ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, მშობლების დროის დეფიციტს და ა. შ. წარმოდგენილი SWOT ანალიზი დასტურდება:

შპს მრავალდარგოვანი გიმნაზია „ იბერიას,“ 2018 -2019 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების დებულება (დამტკიცებულია პედსაბჭოს 2011 წლის 8 სექტემბრის სხდომის ოქმით). გიმნაზიას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც საქმისწარმოების დებულების შესაბამისად ამუშავებს ბრძანებებს, შემოსულ და გასულ კორესპონდენციებს. მოსწავლეთა შესახებ ბრძანებები აკინძულია და რეგისტრირებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბრძანების წიგნში. ასევე, მასწავლებელთა შესახებ ბრძანებები აკინძულია და რეგისტრირებულია დირექტორის დანიშვნითი ბრძანების წიგნში. მესამე წიგნში განტავსებულია სხვა ბრძანებები. ბრძანებათა წიგნები დანომრილი და ზონარგაყრილია საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

ასევე რამდენიმე კატეგორიადაა დაყოფილი გასული და შემოსული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალები და მათი შესაბამისი საქაღალდები, კერძოდ: სამინისტროდან და რესურსცენტრიდან შემოსული ბრძანებები და წერილები; სხვადასხვა უწყებიდან შემოსული წერილები; შემოსული განცხადებები, წერილები და საჩივრები; მოსწავლეთა მოთხოვნები; შემოსული ელექტრონული წერილები; გასული ცნობები; გასული წერილები. გარდა ამისა სკოლა ახორციელებს შრომითი

ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა დაწესებულებებთან და ორგანიზციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციას.

დასტურდება:

- შემოსული კორესპონდენციებით;
- შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალით;

**დაკმაყოფილებულია:**„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი.“ ქვეპუნქტი

## 3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

გიმნაზია ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი :
ა. სკოლის ადმინისტრაცია
ბ. პედაგოგიური საბჭო;
გ. საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთა კათედრები;
დ. გახანგრძლივებული დღის ჯგუფი
პედაგოგიური საბჭო არის სკოლის თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის ყველა პედაგოგი,. ყველა სტრუქტურული ერთეულის უფლება- მოვალეობა გაწერილია გიმნაზიის შინაგანაწესსა და მართვა -გამგეობის დებულებაში.
მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გიმნაზიაში, მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით ირიცხება 72 მოსწავლე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განხორციელებას ემსახურება 31 თანამშრომელი, რომელთა შორის 25 პედაგოგია, მათ შორის 2 უფროსი მასწავლებელი, 10 პრაქტიკოსი. 13 მასწავლებელი უსტატუსოა. პედ-კოლექტივის 5 წევრი წელს იქნა მიღებული. ამ მასწავლებელთაგან მხოლოდ ორს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, დანარჩენი ოთხი კი უსტატუსოა. დირექტორის განმარტებით, კონკურსის გამოცხადების შემდეგ მხოლოდ მათ გამოთქვეს მუშაობის სურვილი და რომ არ ჩაშლოდა სასწავლო პროცესი, ის იძულებული გახდა დროებითი ერთწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე აეყვანა აღნიშნული პედაგოგები.

გიმნაზიის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ მომსახურებას უზრუნველყოფს 6 თანამშრომელი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მნე, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, დამლაგებელი, ბუღალტერი, ექთანი, საქმის მწარმოებელი. აქედან სამი პედაგოგიცაა. აღნიშნული ადამიანური რესურსით სკოლა წარმართავს სასწავლო პროცესს.

დასტურდება:

- მართვის საინფორმაციო სისტემის მოსწავლეთა ბაზით;
- მართვის საინფორმაციო სისტემის მასწავლებელთა ბაზით;
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- საშტატო განრიგით.

**ნაწილობრივაა დაკმაყოფილებულია:** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა.“ ქვეპუნქტი (დარღვეულია შესახებ“ საქართველოს კანონის ‚21[3-7]’ მუხლის და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მეცამეტე მუხლის გათვალისწინებული მოთხოვნით და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

გიმნაზიაში დასაქმებული მასწავლებლების ნაწილის კვლიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. გიმნაზიის მასწავლებლებთა ნაწილი შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ,$21^{3-7}$' მუხლის და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მეცამეტე მუხლის გათვალისწინებული მოთხოვნით და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება მათი კომპეტენციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან.

დასტურდება:

- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- საშტატო განრიგით.

**ნაწილობრივაა დაკმაყოფილებულია:** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ." ქვეპუნქტი (დარღვეულია „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის $21^{3-7}$'-ე მუხლის და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მეცამეტე მუხლის გათვალისწინებული მოთხოვნით და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად).

3.3. გიმნაზიაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

გიმნაზიის შინაგანაწესის პირველი თავის მესამე და მეათე მუხლები განსაზღვრავს სკოლის თანამშრომლების მიღების და დათხოვნის წესს, პედაგოგობის კანდიდატის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს. 2018 -2019 სასწავლო წლისთვის სკოლის პედაგოგები თანამდებობაზე ინიშნებოდნენ სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად. გიმნაზიაში 2019-2020 სასწავლო წლისთვის შეიმუშავეს და დირექტორის ბრანებით დამტკიცდა სამსახურში თანამშრომელთა მიღებისა და განთავისუფლების წესი. შინაგანაწესის პირველი თავის მეცამეტე-მეჩვიდმეტე მუხლები აწესრიგებს სკოლის სადისციპლინო პოლიტიკას, დისციპლინური დევნის და წახალისების ფორმებს. სკოლის დირექცია პედაგოგის წარმატებული საქმიანობისათვის აწესებს წახალისების შესაბამის ფორმებს: დირექტორის ბრძანებით მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქარი, ერთჯერადი ფულადი პრემია.

გიმნაზიის სადისციპლინო პოლიტიკით განსაზღვრულია თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომები, დისციპლინური სახდელები, დისციპლინური სახდელის შეფარდება, დისციპლინური სახდელის შეფარდების დაუშვებლობა, დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა, დისციპლინური სახდელის გასაჩივრება. დისციპლინურ დევნას სკოლაში ახორციელებს დისციპლინური კომიტეტი ან დირექტორი.

დასტურდება:

გიმნაზიის შინაგანაწესით;

სამსახურში თანამშრომელთა მიღებისა და განთავისუფლების წესი.

ინტერვიუირებით.

**დაკმაყოფილებულია:** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

შეფასება: გიმნაზიაში ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. არსებობს თითოეული თანამშრომლის პირადი საქმე, რომელიც მოიცავს თანამშრომლის აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს, მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას, CV, სერტიფიკატების ასლებს, პირადი მოწმობის ქსეროასლებს. მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებების უმრავლესობა დადებულია 2019 წლის 02.09. სამი წლის ვადით და ძალაშია 2020 წლის სექტემბრამდე.

დასტურდება

- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- საშტატო განრიგით.

**დაკმაყოფილებულია:** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

გიმნაზიის მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი განვითარების გეგმაში.
სასულიერო გიმნაზიის პედაგოგების ნაწილი ჩართულია „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“, გიმნაზიის

მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი განვითარების გეგმაში.

გიმნაზიაში არსებობს დირექტორის ბრძანებით შექმნილი შეფასების ჯგუფი, რაც დასტურდება დირექტორის ბრძანებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით. თუმცა გიმნაზიამ ვერ წარმოადგინა შეფასების ჯგუფში ფასილიტატორის წარდგენის თაობაზე პედაგოგიური საბჭოს ოქმი, გიმნაზიას არ აქვს შემუშავებული შიდა შეფასების ჯგუფის მუშაობის დებულება.

დასტურდება:

- მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვისა და საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- საგნობრივი კათედრების სხდომების ოქმებით;
- გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტებით;
- პედსაბჭოს ოქმებით;
- ინტერვიუებით;
- მასწავლებლების პორტფოლიოებით.

**ნაწილობრივაა დაკმაყოფილებულია:** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

გიმნაზიის შინაგანაწესში გაწერილია სკოლაში დასაქმებული სხვადასხვა თანამდებობის პირთა უფლება–მოვალეობები, რომლის მიხედვითაც ხდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის შესაძლებლობათა გამოვლენის ხელშეწყობა.

გიმნაზიის პედაგოგებმა, მშობლებმა და მოსწავლეებმა ინტერვიუირებისას ერთხმად აღნიშნეს, რომ კეთილგანწყობის ატმოსფერო არის სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე. კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის განხორციელების მიზნით სკოლა ხშირად გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და ექსკურსიებს, ახორციელებენ გრძელვადიან პროექტებს.

დასტურდება:

- შინაგანაწესით;
- პროექტებით;
- ფოტო და ვიდეო მასალით;
- ინტერვიუირებით.

**დაკმაყოფილებულია:** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნტი.

ბათუმი 21.11.2019

(შევსების ადგილი) თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:         ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:               თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   _______________

ბ.ა.






ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თეა სალუქვაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.